

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირის გამო აუცილებელია ინტენსიურად იქნას გამოყენებული არსებული მიწის ფონდი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე აუთვისებელი მიწების გაკულტურებასა და მათ გამოყენებას მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად. დასავლეთ საქართველოს ნიადაგების მიწის ფონდის 30 % უკავია დაბალნაყოფიერ, ალუვიურ ნიადაგებს, რომლებიც გამოსულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფონდიდან – არის გაწერებული და გამდელიობული.

სამეგრელოსა და იმერეთის ნიადაგების აგრონომიული თვისებების კომპლექსური მეცნიერული შესწავლა ფაქტიურად არ ჩატარებულა და მათი გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ ხდება შესაბამისი აგროტექნოლოგიის გამოყენების გარეშე.

გამომდინარე აქედან, აუცილებელია ალუვიურ ნიადაგებზე გარკვეული აგროლონისძიებების ჩატარება მათი ნაყოფიერების ამალღების მიზნით.

სამეგრელოს რეგიონში ალუვიური ნიადაგები ფართოდაა წარმოდგენილი მდინარეების: ტეხურის, ცხენისწყლის, აბაშის წყლის, ხობის წყლისა და სხვათა კალაპოტების მიმდებარე ტერიტორიებზე. ეს ნიადაგები ღარიბია საკვები ელემენტებით და ძირითადად დაკავებულია ერთწლიანი კულტურებით. უკანასკნელ წლებში სამეგრელოში სწრაფად იზრდება თხილის კულტურის ქვეშ დაკავებული ფართობები. თხილის გაშენება ძირითადად ხდება ალუვიურ ნიადაგებზე, რომლებიც დაბალნაყოფიერია და ნაყოფიერების ამალღების მიზნით საჭიროებს დამატებითი ღონისძიებების გატარებას.

თხილისათვის ფართობების შერჩევის შემდეგ ნიადაგში შეტანილ უნდა იქნას ფოსფორიანი და კალიუმისანი სასუქები. ნიადაგი უნდა მოიხნას 40-50 სმ სიღრმეზე, შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე. თუ ფართობზე

ზამთრის განმავლობაში არ დგება წყალი, მაშინ ნიადაგი უნდა მოიხნას შემოდგომაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – ადრე გაზაფხულზე.

ნიადაგის მოხვნის შემდეგ ფართობი უნდა დაიეგემოს და დაირგას თხილის ნერგები 5X5 მ<sup>2</sup> მწკრივთშორისით, წინასწარ ამოღებულ ორმოებში (ორმოს სიღრმე 40 სმ, სიგანე 35 სმ). ნერგის დარგვა უმჯობესია შემოდგომაზე, რადგან იგი გაზაფხულზე ადრე იწყებს ვეგეტაციას და კარგად იყენებს ზამთრის პერიოდში ნიადაგში დაგროვილ ტენს. უკიდურეს შემთხვევაში გაზაფხულზე ნერგის დარგვა უნდა მოხდეს ადრე გაზაფხულზე. სასურველია ორმოში დაირგას ორ-ორი ნერგი, სიმეჩხრის თავიდან აცილების მიზნით. დარგვისას ორმოში უნდა შევიტანოთ 3 კგ. ნიადაგთან შერეული გადამწვარი ნაკელი.

თხილის ახალგაზრდა ნარგავების მწკრივთაშორისები შეიძლება დავაკავოთ ერთწლიანი კულტურებით (სოია, სიმინდი). ამით ერთის მხრივ მივიღებთ დამატებით მოსავალს და მეორეს მხრივ ხელს შევუწყობთ ნიადაგის ნაყოფიერების ზრდას. მწკრივთაშორისებში დათესილი შუალედური კულტურების გაფხვიერება-კულტივაციით ფართობს გავწმენდთ სარეველები-საგან, სოიას თესვის შემთხვევაში კი ნიადაგი გამდიდრდება აზოტით. სენაკის სასწავლო მეურნეობაში ჩატარებული ცდებით გამოვლინდა შუალედურ კულტურად სოიას თესვის უპირატესობა (ყვავილობის ფაზაში ნიადაგში ჩახვნივით). საკონტროლოსთან შედარებით ჰუმუსის მატებამ შეადგინა 0,7%, ჰიდროლიზებადი აზოტის მატებამ კი – 7,3 მგ/100გნ. ამავე მაჩვენებლებით მეორე ადგილზე სოია სამარცვლედ – ჰუმუსის მატება 0,4%, ჰიდროლიზებადი აზოტი – 2მგ/100გნ.

თხილის პლანტაციის მწკრივთაშორისებში სიმინდისა და სოიას თესვით მიღებულია დამატებითი მოსავალი: სიმინდი – 74ც/ჰა, სოია – 21.

თხილის ვეგეტაციის მანძილზე უნდა ჩატარდეს დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

დასავლეთ საქართველოში ძირითადად გვხვდება შემდეგი მავნებლები: თხილის კვირტის ტკიპა, თხილის ცხვირგრძელა, ამერიკული თეთრი პეპელა, ვაზის ლურჯი რწყილი, თხილის შავი ხარაბუხა, მურყნის ფოთოლჭამია, თხილის ბუფრი და სხვა.

დაავადებებიდან აღსანიშნავია ნაყოფების ნაცრისფერი და ყავისფერი სიდამპლე, ფოთლის სილაქავე, ფუზარიუმი.

მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ უნდა გატარდეს შემდეგი სანიტარულ-ჰიგიენური, კარანტინული, ბიოლოგიური და ქიმიური ღონისძიებები:

1. შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე ჩამოცვენილი ფოთლების შეგროვება და დაწვა. ნიადაგის დამუშავება მოზამთრე ჭუპრებისა და მატლების განადგურების მიზნით. თხილის დაზიანებული ნაწილების გასხვლა და დაწვა.

2. მწერების მოზიდვა სინათლეზე, ენტომოლოგიური წებოს საშუალებით მწერების დახოცვა.

3. ქიმიური პესტიციდების გამოყენება:

3.1. მავნებლების წინააღმდეგ: პირველი შესხურება – აპრილ-მაისში. დეცისის ან კარატეს, შეპრას ან ბი-58-ის (ახალი) 0,1-0,2%-იანი ხსნარის შესხურება. ვერტიმეკის 0,5%-იანი ან სამმაიტის 0,08%-იანი, ნეორინი 0,1%, სპილენძის ქლორჟანგის 0,4% სამუშაო ხსნარის შესხურება. მეორე შესხურება – ივნის-ივლისში, ზემოთ აღნიშნული პრეპარატებით.

3.2. დაავადების წინააღმდეგ: რიდონეტის 0,3%-იანი ან რიდომილის 0,2%-იანი, ანტრაკოლის 0,35, ავანგარდი 0,3%, კუპროქსატი 1%, კუპროფლო 1%-იანი ბორდოს ნარევის სამუშაო ხსნარი.

შენიშვნებისათვის

ბუკლეტი დაიბეჭდა აწსუ-ის პროექტის – „ზემო აფხაზეთის ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება და მათზე თხილის პლანტაციის გაშენების ტექნოლოგიების დემონსტრირება“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (საგრანტო ხელშეკრულება N 507) და ვრცელდება უფასოდ.

**პროექტის მეცნიერ-ხელმძღვანელი:**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი *როზა ლორთქიფანიძე*

**პროექტის მენეჯერი:**  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი *როლანდ კოპალიანი*

**პროექტის მეცნიერ თანამშრომლები:**  
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი *ნუგ ზარ ებანოიძე*

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი *ზურაბ ჩანტლაძე*

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი *ალექსანდრა ჩაფიჩაძე*

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი *ნელი კელენჯერიძე*

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი *ნუნუ ჩაჩხიანი*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი 2011 წ.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ფერმერის სამახსოვრო

რეკომენდაციები თხილის პლანტაციის გაშენებისათვის

ქუთაისი – 2011 წ.